საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №18(296) 2023 წ. 16-30 სექტემბერი ფასი 1 ლარი

სალამო, რომელმაც ყველა გაახარა

მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით ქალაქ საგარეჯოში,დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მუსიკალური სადამო გაიმართა.

მოეწყო პავილიონები, სადაც გაიმართა ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა - გაყიდვა.

ტერიტორიაზე მოსული სტუმრებისთვის სხვადასხვა კულტურული, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიება ჩატარდა, პატარების განწყობაზე ზღაპრის გმირები და ანიმატორები ზრუნავდნენ.

საღამო სალი ცინცაძის, ანა თათარაშვილის, ნოდარიკო ხუციშვილის და ბენდის კონცერტით დასრულდა.

სოფელ კაკაბეთში ახლად აშენებული საბავშვო ბაღი საზეიმოდ გაიხსნა

ღონისძიების მთავარმა მასპინძელმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** სტუმრებთან ერთად ახალ შენობაში შეაცილა აღსაზრდელები და სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. ღონისძიებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ილია ბეგიაშვილი**, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე - **სოლომონ პავლიაშვილი,** კახეთის სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ალადაშვილი,** მაჟორიტარი დეპუტატი **დავით სონღულაშვილი,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე - **ალექსი გილაშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ავთანდილ გულიკაშვილმა ბაღის დარაჯს, ავთანდილ გულადაშვილს მადლობის სიგელი გადასცა ბაღის ეზოს იერსახის შენარჩუნებისა და სათანადო მოვლა - პატრონობისთვის.

ახალი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა, რომელიც 80 აღსაზრდელზეა გათვლილი და ეზოს კეთილმოწყობა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 363 948 ლარით დაფინანსდა.

საგარეჯოში, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული წარმატებისთვის, გრანტის მქონე ახალგაზრდები დაჯილდოვდნენ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, **ავთანდილ გულიკაშვილის** გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგის 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი გრანტის მქონე აბიტურიენტებს ერთჯერადი ფულადი ვაუჩერი და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის სკოლებიდან 2022-2023 სასწავლო წელს ყველაზე მაღალი შედეგი ქალაქ საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებმა აჩვენეს. გრანტის მქონე აბიტურიენტიდან, რომლებიც მერიამ დააჯილდოვა იყვნენ: ქალაქ საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის, ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს 2 საჯარო სკოლის, ქალაქ საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის, ქალაქ საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის, სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის, სოფელ გომბორის საჯარო სკოლის, სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის, სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის, სოფელ მანავის საჯარო სკოლის, სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის, გიორგი ლეონიძის სახელობის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის, სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლის, სოფელ ყანდაურის საჯარო სკოლის, სოფელ ლამბალოს, სოფელ იორმუღანლოსა და დუზაგრამის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულები. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ გულიკაშვილის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეახალგაზრდებში სწავლის მოტივაციის ამაღლებას, მათ წახალისებასა და განათლების ხელშეწყობას ადგილობრივ დონეზე, წელს პირველად ხორციელდება და ამას აუცილებლად ტრადიციული სახე მიეცემა. ***"წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლებში ქართული და არაქართული სკოლების მოსწავლეთა მიღწევების არნახული სტატისტიკა გვაქვს; გვყავს მასშტაბური რაოდენობის სტუდენტი - 313 კურსდამთავრებული სექტემბრიდან უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელებს სწავლას, მათ შორის არიან გრანტის მქონე პირველკურსელები: 27 – 50%-იანი გრანტის, 12 – 70%-იანი გრანტის, 8 – 100%-იანი გრანტის მფლობელია . ვეცადეთ, რომ დღევანდელი დღე, დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი ყოფილიყო თავისი ღირებულებებითა და მნიშვნელობით, ეს ტიტული თავისთავად განაპირობებს თქვენი უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას. ამიტომ, მიზნისკენ სწრაფვის ტემპი არ უნდა შეანელოთ. თითოეულ თქვენგანს მადლობა მიღწეული წარმატებისთვის, მონდომებისთვის და სიბეჯითისთვის. თქვენს არჩევანსა და პროფესიონალიზმზე დგას ქვეყნის მომავალი . ჩვენ -კი მზად ვართ შევქმნათ შესაბამისი გარემო თქვენი გეგმების რეალიზებისთვის"***,- აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა. ღონისძიებაზე წარჩინებულ ახალგაზრდებს სიტყვით მიმართეს და წარმატებები უსურვეს - კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ალადაშვილმა,** პარლამენტის წევრმა **დავით სონღულაშვილმა,** მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **ალექსი გილაშვილმა** და საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **ლელა ფანოზიშვილმა.**

საღამოს თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა და დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება მუსიკალურად გიორგი ცხადაძემ და ბენდმა გააფორმა.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ოფიციალური ვიზიტით საგარეჯოსა და ამსტერდამის დამეგობრების მიზნით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ორგანიზებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ოფიციალური ვიზიტით ფონდი კავკასიის ნიდერლანდების სამეფოს კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ცენტრის გენერალური მდივანი - **ჰენკ ვან ზილფჰაუტი** ესტუმრა.

ჰოლანდიელ სტუმარს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახური ხელმძღვანელთან **გიორგი ძურდოვანიძესთან** ერთად უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე, მხარეებმა ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებზე ისაუბრეს. ასევე, საუბარი შეეხო საგარეჯოსა და ამსტერდამის დამეგობრების პერსპექტივას. შეხვედრა სიმბოლური საჩუქრების გადაცემით დასრულდა.

სტუმრებმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი მოინახულეს, მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში წარმოდგენილ პრეზენტაციებსა და ქართული ფოლკლორისა და ხელოვნების ნიმუშებს გაეცნენ და ტრადიციული სამზარეულო დააგემოვნეს. კულტურის სახლის მცირე დარბაზში სპეციალურად ამ დღისთვის წარმოდგენილი იყო ჰოლანდიელი მხატვრის, რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინის გრავიურების გამოფენა.

დელეგატები მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში, ანსამბლ „ალავერდის“ მიერ გამართულ კონცერტს დაესწრნენ.

„რთველი-2023“ კამპანიის სრულყოფილად წარმართვისთვის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის მერთან ერთად სოფლის მეურნეობის საგარეჯოს სამსახურის ხელმძღვანელსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა - "რთველი 2023" -ის საკოორდინაციო შტაბის მუშაობას და მისი ორგანიზების საკითხებს ეხებოდა.

პროფესიული დღე მიულოცეს მადლობა პასუხისმგებლობისათვის

20 სექტემბერი დასუფთავების სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული დღეა

საგარეჯოს *მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა და კარგი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.*

„დასუფთავების თანამშრომლებს პროფესიული დღე მივულოცეთ. მინდა, ამ ადამიანებს დიდი მადლობა გადავუხადო იმ შრომისა და საქმიანობისთვის, რასაც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის აკეთებენ, რომ ქუჩები ყოველთვის იყოს მოწესრიგებული და სუფთა. ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევაა ჩადებული. დიდი მადლობა მათ პასუხისმგებლობისა და მუნიციპალიტეტის სიყვარულისთვის“- *განაცხადა* **ავთანდილ გულიკაშვილმა**

25 სექტემბერი ფარმაცევტთა საერთაშორისო დღეა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** სააფთიაქო ქსელების თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა და თაიგულები და მისალოცი ბარათები გადასცა.

ავთანდილ გულიკაშვილი ხანდაზმულ, დამსახურებულ ფარმაცევტ ქალბატონებს: **ციალა დუჩიძესა და ცისანა ამბროლიძეს** ოჯახში პირადად ესტუმრა და ფარმაცევტულ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის მადლობის სიგელები გადასცა.



ანბარიშს აბარებს დეპუტატი

მანავის თემში შემავალი სოფლებიდან – მანავი და ბურდიანიდან მანავი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული, მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და გამრჯე ადამიანებით გამორჩეული, ძირძველი სოფელია თავისი წარსულითა თუ აწმყოთი. მისი დღევანდელობა კი გვაძლევს საუკეთესო მომავლის რწმენას. მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს მისდევს – მევენახეობას და მესაქონლეობას, ამასთან, მანავმა კარგა ხანია გაითქვა სახელი ღვინის „მანავის მწვანე“ წარმოებით, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ ღვინოებს შორის ჯერ კიდევ 40-50 წლის წინ დასახელდა. სოფელი ბურდიანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საკმაოდ დაიცალა. უმეტესობა სოფელ მანავში ჩამოვიდა საცხოვრებლად, თუმცა აღნიშნული სოფლის გარემიდამოები მესაქონლეობის განვითარების საუკეთესო შანსს იძლევა.

მეზობელი სოფელი – დიდი ჩაილურიც ერთ-ერთი ძირძველი სოფელია მშრომელი ადამიანებითა და ათეულ ჰექტარზე გაშენებული ვაზის ჯიშებითა და ბოსტნეულით.

სამივე სოფელი დღეს შეძლებისდაგვარად უწყობს ფეხს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობას: წესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა, კეთილმოეწყო განათლების სისტემის ინფრასტრუქტურა, მოგვარდა და გვარდება წინა საუკუნის პრობლემა – სასმელი წყალი. ახალგაზრდების სპორტული განვითარებისა და ფიზიკური გაჯანსაღებისათვის მოეწყო სპორტული სივრცეები.

სწორედ ამ თემებზე გვესაუბრება დღეს მანავის თემის სოფლების და დიდი ჩაილურის მოსახლეობის რჩეული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში **არჩილ ნემსიაშვილი.**

ცნობისათვის: ***არჩილ ნემსიაშვილი დაიბადა 1975 წელს სოფელ მანავში. 1992 წელს საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1997 წელს დაამთავრა ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით.. 1998 წელს გაწვეულ იქნა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, სადაც სხვადასხვა წამყვან პოზიციებზე იმსახურა 20 წელი და 2008 წელს მიენიჭა საქართველოს შეიარაღებული ძალების ომის ვეტერანის წოდება.***

2018 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით დატოვა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახური. 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით იგი სამი სოფლის მაჟორიტარი დეპუტატია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ამასთან, არის საკრებულოს ეკონომიკის და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

– არჩილ, საუბარი ცოტა შორიდან დავიწყოთ, რა პრობლემები იყო სოფლებში საკრებულოში თქვენი დეპუტატად მოსვლამდე და რის გაკეთება შეძლო მაჟორიტარმა დეპუტატმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად სოფელში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად?

– ჩვენ საუბარში აღვნიშნეთ, რომ ისეთ ადამიანებს, რა დონის მშრომელებიც აღნიშნულ სამ სოფელში (და არა მარტო სამ სოფელში) ცხოვრობენ, მართლაც უნდა ჰქონდეთ კომფორტულად გადაადგილების საშუალება, დროის და ენერგიის დაზოგვის მიზნით საცხოვრებელ ეზოებამდე უნდა იყოს მიყვანილი ბუნებრივი აირიც, ელექტროენერგიაც და და სასმელი წყალიც. ეს უკანასკნელი ბოლო ათეული წელია საძებნელი იყო აღნიშნული სოფლების მოსახლეობისათვის.

2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით მანავში მოხდა მინი სტადიონის რეაბილიტაცია, სადაც 35373 ლარი გაიხარჯა. ამ წელსვე მოხერხდა მანავში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (I კორპუსის) სახურავის მოწყობა, რომელზედაც 65423 ლარი გაიხარჯა, ასევე მეორე კორპუსის სახურავის მოწყობაზე 54934 ლარი გაიხარჯა. სოფელ ბურდიანში წყალსადენის ჭაბურღილისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობაზე 115494 ლარი, მანავის №1 და №2 საბავშვო ბაღებში მოხდა საქვაბეების გარეთ გამოტანა (24000 ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით მოასფალტდა მანავის №1 საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზა, რაზედაც 235481 ლარი გაიხარჯა, ხოლო „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გაკეთდა მანავში გარე განათება, რაზედაც გაიხარჯა 20000 ლარი) და ბურდიანში მოეწყო სანიაღვრე არხი (გაიხარჯა 10000 ლარი).

რაც შეეხება დიდ ჩაილურს, აქ 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით მოხდა სტადიონის მშენებლობა (92887 ლარი), რეაბილიტაცია გაუკეთდა სოფლის საბავშვო ბაღს (126379 ლარი), „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გაკეთდა გარე განათება (16000 ლარი).

2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით იმიტომაც დავიწყე საუბარი, რომ წინა წლებიდან ეყრებოდა საფუძველი შემდგომი წლების განსახორციელებელ პროექტებს.

მაშ, ასე, ***2022 წელს*** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით მანავში, „ტურის უბანში“ არსებულ სპორტულ მინი მოედანს რეკონსტრუქცია გაუკეთდა, რაზედაც 80234 ლარი გაიხარჯა. სოფელ ბურდიანში არსებული მინი სტადიონის რეკონსტრუქციაზე 91807 ლარი გაიხარჯა. სოფელ დიდ ჩაილურში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს 179888 ლარი მოხმარდა.

რაც შეეხება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამას, მანავში მოწესრიგდა №1საბავშვო ბაღის ეზო (20000 ლარი), ბურდიანში დამთავრდა წინა წელს დაწყებული სანიაღვრე არხის მშენებლობა (10000 ლარი), დიდ ჩაილურში სკვერის მოწყობაზე 16000 ლარი გაიხარჯა.

2023 წელს დასრულდა სოფლების მანავისა და დიდი ჩაილურის მოსახლეობის სასმელი წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა.

დასრულდა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით მანავსა და ბურდიანში სკვერების მშენებლობა.

მალე დაიწყება მანავში მეშვიდე და მეათე უბნების გზების მოასფალტების სამუშაოები, რაზედაც გამოყოფილია 1400000 ლარი.

მიმდინარე წელს დიდ ჩაილურში ფუნქციონირება დაიწყო საბავშვო ბაღმა და მიმდინარეობს სკვერის კეთილმოწყობა.

„ინფრასტრუქტურა-2023“

კეთილმოეწყობა ეზო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა,** პირველ მოადგილესთან და სოფლის წარმომადგენელთან ერთად ***სოფელ ბადიაურში,*** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის - საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის მიმდინარე ეტაპი ადგილზე მოინახულა.

წესრიგდება გზა

სოფელ პატარძეულში, ე.წ ყუშიტაანთ უბანში გზისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა, პირველ მოადგილესთან, ემზარი კუჭუაშვილთან ერთად ადგილზე მოინახულა.

კონკრეტული პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 443 874 ლარია და გზის საფარის მოწყობას, ნაპირსამაგრ სამუშაოებს და სანიაღვრე სისტემის მონტაჟს ითვალისწინებს.

მართლმადიდებლობა

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა

შობამან შენმან, ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყევა და მოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო.

შობამან შენმან, ღვთისმშობელო ქალწულო,
სიხარულის აუწყა ყოველსა სოფელსა

ყოვლადწმიდა

დედა ღვთისა იშვა უნაყოფო და მოხუცებული მშობლებისაგან - ქალაქ ნაზარეთში, რომელიც მთის ფერდობზე იყო შეფენილი და იერუსალიმს სამი დღის სავალი აშორებდა. „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რა სამე ყოფად?“ - ამბობდნენ ებრაელები, როდესაც შეიტყვეს, რომ დიდი წინასწარმეტყველი იესო აქედან გამოვიდა.

წინასწარმეტყველთა უწყების მიხედვით, ქვეყნიერების აღთქმული მხსნელი დავითის სამეფო ტომიდან უნდა წარმომდგარიყო, მაგრამ ბაბილონის ტყვეობის შემდგომ დავით მეფის შთამომავლები ნელ-ნელა უფლებებს კარგავდნენ და როდესაც მაკაბელთა გვარი გაძლიერდა, სამეფო შტოს ყოველგვარი გამორჩეულობა გაქრა და ის სხვა ხალხს გაუთანაბრა.

როდესაც წინასწარმეტყველთა მიერ მოსწავებული დრო დადგა და სკიპტრა უცხოტომელ ჰეროდეს გადაეცა, როცა რომაელთა ყოვლისდამარღვეველი ხელმწიფება დაიწყო, როცა ზნეობრიობა და რელიგია სრულიად დათრგუნული აღმოჩნდა - მაშინ იუდეველებმა გააცნობიერეს, რომ დანიელის მიერ დათქმული ჟამი იწურებოდა და მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი მესიას, რომელიც მათ უცხოტომელთა უღლისაგან იხსნიდა და სხვა ხალხებზე ბატონობას მიანიჭებდა.

ნაზარეთში ღვთისმოსავი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა - **იოაკიმე და ანნა**. იოაკიმე იუდას სამეფო ტომის შთამომავალი იყო, ხოლო ანნა აარონის ტომის ღვთისმსახურის მატთანის უმცროსი ასული. მატთანს სამი ქალიშვილი ჰყავდა: მარიამი, სოფიო და ანნა; სოფიოს ასული ელისაბედი არის დედა იოანე წინასწარმეტყველისა. იოაკიმე და ანნა ღვთის წინაშე მართლები იყვნენ და მის მცნებებსაც სუფთა გულით იცავდნენ. ისინი იმდენად ჩამომავლობით კი არა, მორჩილებითა და გულმოწყალებით იყვნენ ცნობილნი.

ამგვარად მიაღწიეს ღრმა სიბერემდე. მთელი მათი ცხოვრება ღვთის სიყვარულით და მოყვასისადმი თანაგრძნობით იყო განსჭვალული. საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავლის ორ მესამედს ყოველდღიურად გასცემდნენ, ერთ მესამედს ღვთის ტაძარს სწირავდნენ, მეორეს ღატაკებსა და მოხუცებს უყოფდნენ; დანარჩენს პირადი საჭიროებისთვის იყენებდნენ. ბედნიერები იყვნენ, მაგრამ უნაყოფობა მათ გულს მწუხარებით ავსებდა: იმდროინდელი წარმოდგენით უშვილობა შეურაცხმყოფელად და უდიდეს სასჯელად ითვლებოდა, მით უფრო სამწუხარო იყო, რომ დავითის შთამომავლებს ჰქონდათ იმედი, რომ მათგან აღთქმული მესიის შობით - კაცობრიობის ხსნის იარაღად უნდა ქცეულიყვნენ.

მათი ცოლ-ქმრული ცხოვრებიდან 50 წელი გავიდა და ისინი უშვილობის გამო იყვედრებოდნენ. კანონის მიხედვით, რომელსაც ფარისევლები უჭერდნენ მხარს, იოაკიმეს შეეძლო, უნაყოფო ცოლთან გაყრა მოეთხოვა, მაგრამ მართალ ადამიანს უყვარდა ანნა და პატივს სცემდა მას არაჩვეულებრივი მოკრძალებულობისა და ღვთისმოსაობის გამო, ამიტომ მასთან განშორება არ სურდა. გულში ჩაკლული მწუხარებით, მაგრამ უდრტვინველად ისინი ერთად ტვირთულობდნენ განსაცდელის სიმძიმეს და მარხვით, ლოცვითა და ქველისმოქმედებით აგრძელებდნენ ცხოვრებას, ერთმანეთს სიყვარულით განამტკიცებდნენ და არ კარგავდნენ იმედს, რომ უფალს ყოველთვის შეუძლია მონის შეწყალება.

დიდ დღესასწაულებზე მათ ჩვეულებად ჰქონდათ, რომ იერუსალიმში ასულიყვნენ. იოაკიმეც მივიდა ტაძრის განახლების დღესასწაულზე, რათა თანამემამულეებთან ერთად მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ მღვდელმთავარმა ისსახარმა იოაკიმეს ძღვენი არ მიიღო, მას უშვილობა აყვედრა და უთხრა: „უფალმა რაღაც საიდუმლო ცოდვის გამო მოგაკლო კურთხევა“. სხვა თანატოლებმაც, რომლებიც იქ ესწრებოდნენ, დაუმატეს: „შენ არ გაქვს ნება, მსხვერპლი ჩვენთან ერთად შესწირო, იმიტომ რომ არ შეგიქმნია ისრაელის თესლი“. იოაკიმესთვის მეტად მძიმე იყო ამგვარი ყვედრების ასე სახალხოდ მოთმენა და სახლში აღარ დაბრუნებულა, უდაბნოში წავიდა. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე მართალი მოხუცი ტიროდა, მარხულობდა და ლოცულობდა. მწუხარებას ცრემლით იქარვებდა, შესთხოვდა ღმერთს, რომ სირცხვილი და ყვედრება აეცილებინა და სიბერეში მისთვის შვილი ებოძებინა.

ამავე დროს, როდესაც ქმრის შეურაცხყოფის ამბავი გაიგო, ანნა უნუგეშოდ ატირდა და შინაურთაგან თავისი მწუხარება რომ დაეფარა, ბაღში გავიდა. დაფნის ხის ძირას მჯდარი ის არ წყვეტდა ტირილს და ლოცულობდა შეურყევნელი რწმენით, რომ ღმერთი ძლიერია და კაცთაგან შეუძლებელს - შესაძლებელად აქცევს! ამ დროს ცისკენ აღაპყრო თვალები და დაფნის ტოტებში დაინახა ბუდე, რომელშიც უსუსური ბარტყები ისხდნენ - ამის გამო კიდევ უფრო მეტად აევსო თვალები ცრემლით, კიდევ უფრო მეტი ვედრებით გადმოიღვარა ლოცვა მისი გულიდან: „უბედური მხოლოდ მე ვარ - მოთქვამდა იგი - ამ ქვეყნად ყველა შვილებით ნუგეშობს. ცაში ჩიტებსა და მიწაზე მხეცებს ნაყოფიერება მიეც, უფალო, მიწაც დროულად აღმოაცენებს თესლსა და ყველაფერი ეს შენი კურთხევით ხდება! მხოლოდ მე ვარ ველი უნაყოფო, უსიცოცხლო და აღმოუცენებელი, მომხედე, უფალო და ისმინე ჩემი ლოცვა!“

უცებ მის წინაშე ღვთის ანგელოსი წარსდგა და უთხრა: ***„ანნა, უფალმა ისმინა შენი ლოცვები, შენ გეყოლება შვილი და შენი თესლისაგან იკურთხება ყოველი ტომი დედამიწაზე, შენი ასულის სახელი იქნება მარიამი და კაცობრიობა ხსნას მის მიერ მიიღებს“.***

ანგელოსმა დაავალა ანნას, რომ წასულიყო იერუსალიმში და უწინასწარმეტყველა, რომ ქმარს ოქროს ჭიშკართან შეხვდებოდა. ღვთივსულიერი სიხარულით აღვსილმა ანნამ წამოიძახა: ***„ცხოველ არს ღმერთი ჩემი, თუ შემეძინება ასული, მას ღმერთს შევწირავ, დაე, დღედაღამ მას ემსახუროს და მისი წმინდა სახელი განადიდოს“***. ამ აღთქმის შემდეგ მან იერუსალიმისაკენ ისწრაფა, რათა უფლისათვის დიდება და მადლობა შეეწირა.

ანგელოსი მართალ იოაკიმესაც გამოეცხადა, რომელიც სალოცავად იდგა უდაბნოში და უთხრა: ***„უფალმა შეიწყნარა შენი ლოცვა, შენი ცოლი შობს ასულს, რომელიც ყველას სიხარულს მოუტანს, წადი იერუსალიმში და იქ ოქროს ჭიშკართან იპოვი ცოლს შენსას, რომელსაც მე ეს უკვე ვაცნობე“.***

ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, ღვთის ტაძარს ერთად შესწირეს სამადლობელი მსხვერპლი და სახლშიც ერთად დაბრუნდნენ იმის ღრმა რწმენით, რომ მიიღებდნენ ღვთისაგან აღთქმულს. მართლმადიდებელი ეკლესია უხსოვარი დროიდან დეკემბრის მეცხრე დღეს დღესასწაულობს მოხუცებული, შვილიერებას მოკლებული მშობლებისაგან ღვთისმშობლის მუცლადღებას; რადგანაც ბავშვის დაბადება ღვთის განსაკუთრებულ წყალობად ითვლებოდა, რადგანაც საჭირო იყო, რომ სხვადასხვა სასწაულებს მოემზადებინა ყველაზე მთავარი სასწაული, უწყება იმის შესახებ, რომ ქალწული შობდა ქვეყნიერების მხსნელს, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, უფლის აღთქმის მიხედვით - ჩაისახა და დაიბადა ცოლ-ქმრისაგან, მხოლოდ უფალი იესო ქრისტე იშვა უბიწო მარიამისაგან უქორწინებელად - სულიწმიდის მიდგომით.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი ნაკლებად ცნობილ ადგილას, ნაზარეთში დაიბადა, ის გამოვიდა ოდესღაც სახელგანთქმული დავითის ტომიდან, რომელიც იმჟამად უკვე დამცირებული და ყოველგვარ ბრწყინვალებას მოკლებული იყო, ამქვეყნიური დიდება და პატივი არ შემორტყმია მის აკვანს. ყოველგვარი მიწიერი უპირატესობა გაფერმკრთალდა უხილავი დიდების შუქზე, რომელიც მრავალი საუკუნით ადრე ამზადებდა უფლის დიდებით შობას. ***სახარების მიხედვით მას კურთხეული და მიმადლებული ეწოდა იმ დღიდანვე, როდესაც მასში ქვეყნიერების მხსნელი ჩაისახა***. ღვთიურმა სიბრძნემ დაფარა ეს საიდუმლო და ადამიანური გონებისათვის მისი რწმენითა და მადლით მიღება განსაზღვრა.

იუდეველთა ჩვეულების მიხედვით, ახალშობილისათვის მეთხუთმეტე დღეს სახელი უნდა დაერქმიათ, ანგელოსის მითითებით, ყრმას მარიამი უწოდეს, რაც ებრაულად ქალბატონს ან იმედს ნიშნავს. მარიამი გახდა დედა ღვთისა და ამით ყოველივე შექმნილის ქალბატონად და იმედად იქცა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ხსენება უძველესი დროიდან, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის დღესასწაული, ჯერ კიდევ IV საუკუნეში დადგინდა. მოციქულთასწორმა ელენემ ღვთისმშობლის შობის სახელზე აღმართა ტაძარი; ეს დიდი, საყოველთაო, ათორმეტთაგანი დღესასწაული 8 სექტემბერს აღესრულება. ეს არის განუყოფელი სიხარულის დღესასწაული, რადგან ღვთისმშობლისაგან ადამიანთა მთელი მოდგმა განახლდა და პირველი დედის ევას მწუხარება სიხარულად გარდაიქცა.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** საკრებულოს თავჯდომარესთან **ალექსი გილაშვილთან** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გმირთა მემორიალი თაიგულებით შეამკო და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

„თითოეულ ჩვენგანს და მომავალ თაობებს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ამ გმირებმა მოგვიტანეს სამშობლო დღემდე და მათი ღვაწლი და თავგანწირვა მარადიულ ხსოვნად დარჩება, მადლობა და დიდება მათ სულებს“!- აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

რევაზ ინანიშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში...

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატულმა თეატრმა პროექტის „ მოგზაურობა კახეთში“- ფარგლებში წარმოადგინა სპექტაკლი „ ელლადოს“. კლასიკოსი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები, რომელიც მარადიულ ღირებულებებზე, სამშობლოზე, მეგობრობასა და პატრიოტიზმზეა დაფუძნებული.

პროექტის მიზანი იყო თეატრის პოპულარიზაცია, კლასიკური ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია, მეტი ისეთი ადამიანების წვდომა თეატრალურ ხელოვნებასთან, რომლებიც დედაქალაქის თეატრებში ნაკლებად მოგზაურობენ. პროექტი მიზნად ისახავდა კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.



ახალი ტრადიცია მზისგულობა

20 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მზისგულში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის ინიციატივით ჩატარდა „მზისგულობა“, სადაც ჩატარდა რაიონის დია პირველობა ქართულ ჭიდაობაში 2010-2011 წლებში დაბადებულთა შორის, ასევე, მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა აქ გამართულმა კონცერტმა. აქაურები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას, რომ მზისგულობა, იგივე სახალხო ზეიმი, ამ დღიდან ტრადიციად დაწესდება და ყოველი წლის 20 სექტემბერს აღინიშნება.

მოკლე ისტორია

სოფელი მზისგული საგარეჯოს რაიონში მდებარეობს კაჭრეთის ვაკის ჩრდილოეთ კიდეზე, ზღვის დონიდან 460 მეტრზე, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 28 კილომეტრზე.

ისტორიული წყაროებიდან და ახლო წარსულიდან, ადგილი, სადაც ახლა სოფელია გაშენებული, ადრე დაუსახლებელი, უკაცრიელი, ტრიალი, მდინარე ლაკბეს ნაპირზე მდებარე ადგილი ყოფილა – კახელი თავად ანდრონიკაშვილის კუთვნილება.

გასული საუკუნის 10-იან წლებში რუსეთის სამხრეთის პროვინციებიდან იმპერატორის მიერ გადმოსახლებულმა რუსმა გლეხებმა რუსული სოფლის მიხედვით დაარსეს სოფელი და სახელად თავისი სილამაზის მიხედვით შესაბამისად მისცეს – „ბოგ-დანოვკა“ – ღმერთისგან მიცემული. ანდრონიკაშვილისეულ ადგილს კი „ოლე“ ერქვა. „ოლე“ ძველ ქართულში მარტოსულს, ან დაუსახლებელ ადგილს ნიშნავს.

1916 წელს იორმუღანლოელებს ამ სოფლის მოურავი გვარად კვეზერელი მოუკლავთ – გულადი, უშიშარი კაცი, რომლის შიშით აქაურ მეცხვარეებს და მოსახლეობას იორმუღანლოელები კი არა, ლეკებიც ვერაფერს უბედავდნენ...

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამ სოფელში გაბედულად ჩამოსახლდნენ ჯიმითიდან, შიბლიანიდან, ყანდაურიდან, კაჭრეთიდან. რუსებმა და ახლადჩამოსულებმა აქ სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს, რომელშიც მათთან ერთად შიბლიანიც იყო გაერთიანებული. 1982 წელს კოლმეურნეობა ორად გაიყო და ბოგდანოვკას სულ 1203 ჰა მიწის ფართობი ერგო. აქედან 678 ჰა სახნავ-სათესი იყო. მრავალწლიან ნარგავებს 209 ჰა ეკავა, ვენახს – 162, საძოვარს – 139, თუთის პლანტაციებს – 10 ჰა, ხილის ბაღს – 36 ჰა, იმ დროს კოლმეურნეობაში 228 კოლწევრი იყო, რომლებიც მევენახეობის –3, მემინდვრეობის – 1 და მებოსტნეობის ერთ ბრიგადასა და მეცხოველეობის ფერმაში შრომობდა.

სოფელში აღადგინეს კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, გარემონტდა სასოფლო კლუბი, საექიმო ამბულატორია, ამუშავდა აბანო, პარალელურად დაიწყო საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლისა და კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობები. ადმინისტრაციული შენობის I და II სართულზე: კოლმეურნეობის ადმინისტრაცია, სასტუმრო, ბუფეტი, სხდომათა დარბაზი განთავსდა.

აქ არსებულ გაჯის საბადოში თაბაშირის შემცველობა 60%-ს შეადგენს, რაც იშვიათობაა.

სოფელი დღეს

სოფელში 200 კომლია, 816 მოსახლით.

მოსახლეობა ძირითადად მისდევს მევენახეობას, მემინდვრეობას, მებოსტნეობას.

მიწის ფართობი სულ 1398 ჰა-ია, აქედან, კერძოა 432 ჰა, 966 ჰა სახელმწიფოსია, სასოფლო სამეურნეო მიწებს 1789 ჰა უკავია.

სახნავ-სათესია სულ 756 ჰა, აქედან კერძოა 308 ჰა, სახელმწიფო – 680 ჰა. საძოვარი – კერძოა 180 ჰა, სახელმწიფოსი – 500, ვენახს 353 ჰა უკავია.

სოფელში ფუნქციონირებს ***საჯარო სკოლა, რომლის*** მენეჯერია **ნუგზარ ჩალათაშვილი**.

სოფელში ფუნქციონირებს ***საბავშვო ბაღი, რომლის*** მენეჯერია **მანანა ფილაური**

სოფელში ფუნქციონირებს ჭიდაობა ძიუ-დოს სპორტული სექცია, რომელსაც ყოფილი მოჭიდავე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, წინა ორი მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი და ამჟამინდელი, მისთვის მესამე მოწვევის პროპორციული სიით მოქმედი დეპუტატი **სოსო ჭიკაძე** ხელმძღვანელობს.

სოფელს ოჯახის ექიმი **ცინარი აბესაძე** ემსახურება.

ნანა კოხტაშვილი-ზირაქაშვილი – ***მზისგულის მაცხოვრებელი, სოფელ უდაბნოს ოჯახის ექიმი, საგარეჯოს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ექიმი*** – ჩვენი მზისგული პატარა სოფელია, მაგრამ აქაური მშრომელი ადამიანები ყველანაირად ცდილობენ სოფელს თავისი სიტყვა ეთქმოდეს მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის, და კახეთის მხარეშიც. აქ თაობები ცხოვრობენ, რომელთაც კარგად ახსოვთ, რა წელგამართული იყო სოფელი ამ სამი ათეული წლის წინ – აქაურები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს შრომასა და გარჯაში. მევენახეობა, მემინდვრეობა, მესაქონლეობა იყო და დღესაც არის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები. დღესაც ვამაყობთ რესპუბლიკური მნიშვნელობის მაგისტრალის გასწვრივ მოვლილი ვენახებითა თუ სოფლის შესასვლელში მწვანე ზოლის შენარჩუნებით.

მართალია, ჩვენს სოფელსაც დააჩნია მსახვრალი ხელი 90-იანმა წლებმა, მაგრამ სოფელმა გაუძლო... და დღეს სულ სხვა სოფელი გვაქვს მზისგულელებს – თვალსა და გულს უხარია სოფლის საჯარო სკოლის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობები. აქ მოასფალტდა ქუჩა, სადაც საერთოდ არ იყო ასფალტის საფარი, მოეწყო მინი-სტადიონი, გარე-განათება და როცა ჩვენს სოფელში 20 სექტემბერს საფუძველი ჩაეყარა სოფლის დღევანდელობას – მზისგულობას, ეს დღე მართლაც უდიდესი საჩუქარი იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის მერის – ავთანდილ გულიკაშვილისაგან. ზემოთაც ვთქვი, სოფელი პატარაა, მაგრამ აქ დიდი, თბილი გულის ადამიანები ცხოვრობენ, რომელთათვისაც ერთ ტკბილ სიტყვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დღეს აქ ტკბილი, თბილი სიტყვებიც ითქვა და რწმენის, ნათელი მომავლის, იმედის ნაპერწკალმაც იმატა – როცა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან დიდ ყურადღებას გრძნობ და საკუთარი თვალით ხედავ სოფელზე გულშემატკივრობას, გიჩნდება იმედიც, რომ ხვალ უკეთესი იქნება ჩვენი, ჩვენი შვილების სოფელი. ჩემს შვილებს კი – თენგო ზირაქაშვილს – ილიაუნის სტუდენტს, ძიუდოს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ოქროს მედლის სულ ახლახანს, ორიოდე დღის წინ მომპოვებელს, თაკო ზირაქაშვილს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტს, სოფელის შესახებ მეგობრებთან ბევრი საამაყო ექნებათ – ყოველი წლის 20 სექტემბერს სოფელი ტრადიციულად დღეობას იზეიმებს. ახლა კი ეს პირველი 20 სექტემბერი მართლაც მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ სოფლის ყველა თაობა, სოფლის მოსახლეობის 80% ერთად გამოვედით, შევხვდით ერთმანეთს, ერთად ვიზეიმეთ, ერთად გავერთეთ, შევხვდით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომელიც კიდევ ერთხელ გაეცნო სოფლის დღევანდელობას და მოინიშნა სამომავლო საკეთებელიც.

ვსარგებლობ თქვენი გაზეთის საშუალებით და მინდა ჩემი სოფლის მოსახლეობის სახელით მადლობა ვუთხრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ **ავთანდილ გულიკაშვილს** და მის ***გუნდს*** სოფლის ყველა თაობის ადამიანისათვის დღის გალამაზებაგაფერადებისათვის. ვისურვებდი ასეთი დღეები უამრავი ჰქონდეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

სპორტი

აქ იზრდებიან ევროპისა და მსოფლიო დონის სპორტსმენებიც (8 თვის შედეგები)

როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდანაც იცით, 2023 წელი ახალი სპორტული მიღწევებით დაიწყეს (ა)აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ სპორტსმენებმა. შიდა რეგიონულ და რესპუბლიკურ ასპარეზობებში მოპოვებული წარმატებები დააგვირგვინა გაერთიანების ძიუდოს, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობისა და მკლავჭიდის სექციების აღსაზრდელთა, რომ იტყვიან, მართლაც ტრიუმფალურმა გამარჯვებებმა. კერძოდ, თუ რა წარმატებები აქვთ მოპოვებული ამ და სხვა სექციების სპორტსმენებს წლის დასაწყისიდან განვლილ პერიოდში, ამის შესახებ გვესაუბრება გაერთიანების დირექტორი, სამბოში მსოფლიოს ორგზის და ვეტერანებში (ძიუდო) მსოფლიო ჩემპიონი **მამუკა კურდღელაშვილი.**

– **სადღეისოდ** სპორტულ გაერთიანებაში ფუნქციონირებს: თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს, მათ შორის ქალთა ძიუდოს, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, კრივის, მკლავჭიდის, მხატვრული ტანვარჯიშის, სპორტული ტანვარჯიშის,ჭადრაკის სექციები.

თავისუფალი ჭიდაობის სექციები გახსნილია:

ქალაქ **საგარეჯოში** (მწვრთნელ-მასწავლებლები: რამაზ ასაბაშვილი, დათო ბაბუნიძე);

სოფელ **ნინოწმინდაში** (მწვრთნელ-მასწავლებლები: რამაზ ასაბაშვილი, კობა საგინაშვილი); აღნიშნული სექცია და სოფლის სპორტული დარბაზი მიმდინარე წლიდან ამოქმედდა.

მანავის თემი (მწვრთნელ-მასწავლებელი ტარიელ როსტომაშვილი) ამ სექციამაც მიმდინარე წლიდან დაიწყო ფუნქციონირება.

სოფელი **ხაშმი** (მწვრთნელი დავით ქისტაური)

ძიუდოს სექციებია:

საგარეჯოში (მწვრთნელები: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი, ნუკრი გაგნიაშვილი, კახა ყორღანაშვილი, ქართლოს თედიაშვილი).

გიორგიწმინდის თემში (მწვრთნელები: გოჩა (გოდერძი) მეკოკიშვილი, ბადრი ბასილაშვილი, ლევან ჭიაბერაშვილი);

პატარა ჩაილურში (მწვრთნელი თემურ როსტომაშვილი);

კაკაბეთში (მწვრთნელი გიორგი მასურაშვილი);

სოფელ **ბადიაურში** (მწვრთნელები სოსო ჭიკაძე, მიხეილ ქურხული);

სოფელ **მზისბულში** (მწვრთნელი სოსო ჭიკაძე);

სოფელ **უდაბნოში** (მწვრთნელები: ლაშა ფირცხელანი, ირაკლი დადვანი).

პატარძეულში – (მწვრთნელები ტრისტან სუხაშვილი, ივანე კოტორაშვილი);

ქალთა ძიუდო:

ქალაქ **საგარეჯოში** (მწვრთნელი ლუდმილა ფერაძე);

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექცია:

ქ. **საგარეჯო** (მწვრთნელი თამაზ ყიფიანი);

კრივის სექცია:

ქ. **საგარეჯო** (მწვრთნელი გიორგი კოხტაშვილი);

მკლავჭიდის სექცია:



სოფელ **გიორგიწმინდაში** (მწვრთნელი მამუკა ბილანიშვილი).

მხატვრული ტანვარჯიში:

ქალაქ **საგარეჯოში** (მწვრთნელი მედეა ვეკუა).

სპორტული ტანვარჯიში

ქალაქ **საგარეჯოში** (მწვრთნელი ანა იაკობაშვილი).

ჭადრაკის სექცია:

ქალაქ **საგარეჯოში** (მწვრთნელები ირაკლი ქვლივიძე, ელენე ფარეშიშვილი, ნანი უნაფქოშვილი).

– ბ-ნო მამუკა, ჩვენი გაზეთი სისტემატურად აშუქებს და საზოგადოებას დროულად აწვდის ცნობებს ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების სპორტსმენთა მიერ მოპოვებული წარმატებების შესახებ, მაგრამ მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ წლის დასაწყისიდან ამ დრომდე მათ მიერ ჩვენი ქვეყნისა თუ მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო არენებზე მოპოვებული ჯილდოებისა და წარმატებების შესახებ...

– როგორც ყოველთვის, ჩვენი სპორტგაერთიანების სპორტსმენები ამ ჯილდოებისა და საპატიო ტიტულებისათვის ბრძოლას 2023 წლის დამდეგიდანვე შეუდგნენ მოვყვებით ქრონოლოგიურად. პირველ დიდ წარმატებას საგარეჯოს ძიუდოს სექციის (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი, ნუკრი გაგნიაშვილი) აღსაზრდელმა ჭაბუკებში 2022 წლის საქართველოს ჩემპიონმა, სლოვენიის „ევროპის თასის“ ვიცე ჩემპიონმა და ხორვატიის ამავე სახელწოდების თასის ჩემპიონმა 50 კგ წონით კატეგორიაში ***შოთა ბაჩოშვილმა*** მიაღწია. იგი გახდა 28-29 იანვარს თბილისში 2006-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრების გამარჯვებული და 11-12 თებერვალს გამართული საქართველოს ჩემპიონატის ჩემპიონი. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონობისათვის გამართული ხუთივე ორთაბრძოლა შოთიკომ ბრწყინვალე შედეგით – იპონით დაასრულა. 11-12 მარტს კი იგი გახდა ზაგრებში გამართული (ხორვატია) ***ევროპის თასის ვიცე-ჩემპიონი.***

იგივე მწვრთნელების აღსაზრდელმა **სანდრო სონიშვილმა,** რომელსაც შემდგომშიაც არაერთხელ უსახელებია თავი, პატარა ჩაილურში, თებერვალში გამართულ „ყველიერობის“ სახალხო-რელიგიურ დღესასწაულზე ქართულ ჭიდაობაში დაწესებული ჯილდო – ჭედილა დაიმსახურა.

ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატზე 2008-2009 წლიან ჭაბუკებში (11-12 მარტი) მეორე ადგილები და შესაბამისი ***ვერცხლის მედლები*** მოიპოვეს **ლუკა დარიხპანაშვილმა და ლადო მაჩურიძემ.**

ამავე პერიოდში საქართველოს ჩემპიონატზე სამბოში ახალგაზრდებში 58კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ზემოხსენებული მწვრთნელების კიდევ ერთი ნიჭიერი აღსაზრდელი **შალვა გულისაშვილი,** ხოლო მძიმე წონაში მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა **სანდრო სონიშვილი.**

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ორგზის პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე, კრივის სექციის (მწვრთნელი გიორგი კოხტაშვილი). წევრი **გიორგი დეკანოზიშვილი** თებერვალში, ბათუმში გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში გახდა ***მეორე საპრიზო ადგილისა*** და შესაბამისი მედლის მფლობელი.

მარტის მიწურულს, ესტონეთში თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ „ტალინის ღია პირველობაში“ ხუთი გამარჯვებით ჩემპიონი გახდა **თორნიკე თულაშვილი** (მწვრთნელები რამაზ ასაბაშვილი, დათო ბაბუნიძე).

8-9 აპრლს სპორტგაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა ჩვენი თანამემამულეების, საქართველოს, სსრკ, ევროპისა და მსოფლიო პრიზიორებისა და ჩემპიონების გივი ონაშვილისა და გიორგი რევაზიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2007-2008 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებში, სადაც ჩემპიონები გახდნენ **ოთარ ოდიკაძე და გიორგი ნაცვლიშვილი.**

– იგივე აპრილის თვეში საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში „ოქროს თორმეტეული“ კლუბ „არსენას“ წარმატებაც ვიზეიმეთ საგარეჯოელებმა. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

– ეს ასპარეზობა 19 აპრილს ჩატარდა და ჩვენმა გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ ***ოთარ ოდიკაძე, ლუკა კანჯარაშვილი, ნიკოლოზ კურდღელაშვილი, თენგო შათირიშვილი, ლადო მაჩურიძე, დათო ბორაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი, დავით ხუციშვილი*** (მწვრთნელები მამუკა მათიაშვილი, ნუკრი გაგნიაშვილი, გოჩა მეკოკიშვილი) შეძლო ამ 12 გუნდში შესვლა.

საერთოდ, ეს თვე მეტად წარმატებული იყო ჩვენი აღსაზრდელებისათვის. ისრაელში გამართულ „ევროპის ჩემპიონატზე“ 58კგ

წონით კატეგორიაში ***ვერცხლის მედალი დაიმსახურა* შაკო გულისაშვილმა.** მარნეულში, 11-12 აპრილს კრივში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე მოსწავლეებში ***II ადგილზე*** გავიდა **დავით პასიკაშვილი.** გორში, 22-23 აპრილს ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატში ***ძიუდოში*** (გოგონებსა და ვაჟებს შორის) 48კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **ნინო ლოლაძე.** მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ **დავით კევლიშვილი** და **ლალი ხოსიტაშვილი,** ხოლო „ევროპის თასზე“ იქვე გამართულ შეჯიბრებაში (2006-2007წწ) ***III საპრიზო ადგილზე*** გავიდა **თამარ სუხიაშვილი.**

– ეს თვე „დაგვირგვინა“ ქართულ ეროვნულ ჭიდაობაში მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდის მიერ კახეთის ჩემპიონის ტიტულისა და გარდამავალი თასის მოპოვებამ.

– ეს წარმატება ჩვენმა მოჭიდავეებმა 30 აპრილს გურჯაანში გამართულ რეგიონულ პირველობაშიც მოიპოვეს. მათ ფინალში დაამარცხეს მასპინძელი – გურჯაანის ნაკრები და ზედიზედ მეორედ დაეუფლნენ ამ ჯილდოებს. ამ წარმატებაში თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ***მამუკა მათიაშვილის, გოჩა მეკოკიშვილისა და***

გაგრძელება მე-7 გვერდზე

სპორტი

აქ იზრდებიან ევროპისა და მსოფლიო დონის სპორტსმენებიც (8 თვის შედეგები)

გაბრძელება

თემურ კურდღელაშვილის მომზადებულმა მოჭიდაველებმა თამაზ მახარობლიშვილმა, ოთარ ოდიკაძემ, ლუკა დარისპანაშვილმა, დათო მეზვრიშვილმა, დათო ბორაშვილმა, გიორგი მეკოკიშვილმა, გიორგი ქარჩაიძემ.

– ეს დღე, 30 აპრილი, თქვენი მხატვრული ტანვარჯიშის სექციის აღზრდილების წარმატებითაც აღინიშნა, არა?

– კი, ამ დღეს თბილისში ჩატარდა „Level up 2023“, შეჯიბრება, სადაც ***მწვრთნელ მედეა ვეკუას*** მოწაფეებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

– მაისი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მწვრთნელ თამაზ ყიფიანის და მისი მოწაფის ლუკა მარტიაშვილის ტრიუმფალური აღმასვლის დასაწყისად იქცა, კერძოდ, რა მოხდა 1-3 მაისს სტეფანწმინდაში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში?

– მაისში, თქვენს მიერ მოხსენებულ ქალაქში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც 15 წლიანთა შორის საქართველოს ჩემპიონის ტიტული კვლავ მოიპოვა მწვრთნელ თამაზ ყიფიანის შარშანდელმა საქართველოს ჩემპიონმა **ლუკა მარტიაშვილმა,** რითაც მას გზა გაეხსნა მომავალი დიდი ასპარეზობებისა და წარმატებებისათვის, რასაც ცოტა ქვემო თ შევეხებით.

– წლევანდელი ზაფხული ჩვენი მკლავჭიდელების ტრიუმფით აღინიშნა, თუმცა წარმატებები მათ არც წინა წლებში აკლდათ. რას გვეტყვით მათი წარმატებების შესახებ?

– დავიწყებ ევროპის ჩემპიონატზე მათ მიერ მოპოვებული წარმატებით. ეს ჩემპიონატი მოლდოვაში, ქ. კიშინიოვში ჩატარდა, სადაც ***მამუკა ბილანიშვილის ხუთმა მკლავჭიდელმა*** უმაღლეს შედეგებს მიაღწიეს. კერძოდ, 15 წლამდელთა შორის 70 კგ წონით კატეგორიაში ორივე მარჯვენა-მარცხენა ხელში ჩემპიონი გახდა **ბაჩო დიღმელაშვილი.** 23 წლამდელებში 90 კგ-ში მარცხენა ხელში ჩემპიონი, ხოლო მარჯვენა ხელში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა **ოთარ საგინაშვილი**. 18 წლამდელთა შორის +90 კილოგრამში ორივე ხელში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა **ვალერი კერატიშვილმა.** დიდებში 100 კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელში ჩემპიონი გახდა **ნუგზარ ჯიკაძე,** ხოლო **გიორგი როსტომაშვილი** უძლიერესი იყო 110 კგ-ში მონაწილეთა შორის მარჯვენა ხელის გადაწევაში. ამის შემდეგ ჩვენი მკლავჭიდელები 24 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით ასპარეზობდნენ ყაზახეთის ქ. ალმა-ატაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში. აქ, 15 წლიან ჭაბუკებში +70 კგ-ში ორივე მკლავში ვერცხლის მედლების მფლობელი გახდა **ბაჩო დიღმელაშვილი.** 18 წლამდე ჭაბუკებში 70 კგ-ში ბრინჯაოს მედალი (მარჯვენა) მოიპოვა **გიორგი დიღმელაშვილმა. გიორგი ღვინაშვილი** ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა მარჯვენა მკლავში.

23 წლამდე ახალგაზრდებში 90 კგ-ში მარცხენა მკლავში **III პრიზიორი გახდა ოთარ საგინაშვილი.** +90 კგ წონით კატეგორიაში ორივე მკლავში ჩემპიონი გახდა **ბაჩო საგინაშვილი**. მანვე უფროს ასაკში (100კგ) მარცხენა მკლავში შეძლო მესამე საპრიზო ადგილის დაკავება.

– ივნისში საგარეჯოში ჩატარდა ჩვენებური გამოჩენილი ფალავნისა და მწვრთნელის როინ ყორღანაშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი. ბათუმში, 19-23 ივნისს გამართულ ირ. აბაშიძის ხსოვნის ტურნირში მოსწავლე მოკრივეთა შორის გამართულ ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა ნიკა თაწშავაძე, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა დავით პასიკაშვილი. თუმცა ამ თვის თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად ქართულ ჭიდაობაში დიდი მოურავის სახელობის რესპუბლიკურ გუნდურ პირველობაში საგარეჯოს გუნდის გამარჯვება უნდა ჩაითვალოს, რომელმაც შეძლო დაემარცხებინა ქართულ ჭიდაობაში ისეთი აღიარებული მოჭიდავეები, როგორიც გორისა და საერთოდ ქვემო ქართლის გუნდები არიან...

– ეს გამარჯვება ჩვენმა ნაკრებმა **(ონისე ბორაშვილი, გიორგი დურიშვილი, გიორგი არღვლიანი, სანდრო სონიშვილი, გიორგი ღრეული, ლუკა ჯინჭარაძე, გიორგი ღვთისავრიშვილი)** 15 ივლისს კასპში დიდი მოურავის მშობლიურ ქალაქ ნოსტეში იზეიმა, სადაც ასპარეზობა ტარდებოდა 2004-2006 წლებში დაბადებულ ფალავნებში და როგორც კახეთის რეგიონულ პირველობაში გამარჯვებულებმა, კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ქართულ ჭიდაობაში ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ ნებისმიერ მეტოქეებს.

– ერთი სული მაქვს, როდის შევეხებით ივლისში, ლუკა მარტიაშვილის მიერ ევროპის ჩემპიონატზე მიღწეულ წარმატებას, როცა მან თამაზ ყიფიანის შეპირების მიხედვით ევროპული ოქროს მედლის მოპოვებით გაგვახარა...

– ეს მედალი და ევროპის ჩემპიონის ტიტული **ლუკა მარტიაშვილმა** 7-8-9 ივლისს ბუდაპეშტში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა, 75 კგ წონით კატეგორიაში. აქვე, რაკი მის შესახებ ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ 24 აგვისტოს ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში ბავშვთა მსოფლიო ოლიმპიადაზე მის მიერ მიღწეულ უდიდეს წარმატებაზე, სადაც ჩემპიონი გახდა 75 კგ



წონითი კატეგორიის მოჭიდავეებში. შემდეგ კი, იქვე გამართულ გუნდურ შეჯიბრებაში (ბრაზილია-სამხრეთ ამერიკა-საქართველო-სომხეთი) შეძლო თავისზე 10 კგ-ით მძიმე ბრაზილიელი მეტოქის აშკარა უპირატესობით დამარცხება.

– ჩვენი პატარა ქვეყნის ჩვენს პატარა ქალაქში აღზრდილი მოჭიდავისათვის ეს მართლაცდა უდიდესი წარმატებაა. ახლა კი, რომ არ გამოგვრჩეს, გავიხსენოთ ის წარმატებები, რომელსაც შოთა ბაჩოშვილმა წელს მიაღწია...

– საქართველოს ჩემპიონად გახდომის შემდეგ **შოთა ბაჩოშვილმა** 11-12 მარტს ხორვატიის ქალაქ ზაგრებში 2006-2007 წლიანებში „ევროპის თასზე“ გამართულ ასპარეზობაში მიიღო მონაწილეობა და ტრავმის მიუხედავად შეძლო ***მეორე საპრიზო ადგილის*** დაკავება 50 კგ წონით კატეგორიაში. 25 ივლისს კი იგი გახდა სლოვენიის ქალაქ მარიბორში გამართული ***ოლიმპიური ფესტივალის*** გამარჯვებული და ***ოქროს მედლის*** მფლობელი იგივე წონაში. მწვრთნელები და გულშემატკივრები ოქროს მედალსა და ჩემპიონობას მოელოდნენ მისგან ქ. ზაგრებში 23 აგვისტოს გამართულ ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონატიდანაც, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო, მან იქ ***ბრინჯაოს მედლის*** მოპოვება შეძლო.

– როგორ გააცილეს ზაფხული აიპ-ს ქალთა ძიუდოს სექციის წევრებმა?

– აპრილის თვეში ქ. გორში ჩატარდა „ევროპის თასი“ 2006-2007წწ კადეტებში, სადაც ჩვენი ძიუდოისტი გოგონა **თამარ სუხიაშვილი** გახდა ბრინჯაოს მედლის მფლობელი. **ნინო ლოლაძე** მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა 1-2 ივლისს სლოვენიის ქალაქ მარიბორში გამართულ „ევროპის თასზე“ ახალგაზრდებში. ის, ასევე, მონაწილეობდა მაკედონიის ქ. სკოპში ახალგაზრდებში „ევროპის თასზე“ და კვლავ ***ბრინჯაოს მედალი*** მოიპოვა.

ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში 10 სექტემბრის ევროპის ჩემპიონატში **ნინო ლო-**

ლაძე კვლავ იგივე ადგილის მფლობელი გახდა გუნდურ პირველობაში.

ჩვენმა ***ძიუდოისტმა გოგონებმა*** ასევე მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის შიგნით გამართულ ტურნირებში და ჩემპიონატებში.

თებერვალში საქართველოს ჩემპიონატზე ჩემპიონი გახდა **მარიამ ხოსიტაშვილი,** ბრინჯაოს პრიზიორი თამარ **სუხიაშვილი.**

იგივე თვეში მარნეულში თ. ხერგიანის მემორიალში საპრიზო ***II ადგილზე*** გავიდა **ანასტასია ძევხიშვილი,** მესამე ადგილზე **– მარიამ აფციაური და მარიამ ოთინაშვილი.**

მარტში ზურაბ იარაჯულის ხსოვნის I საერთაშორისო ტურნირში **ანასტასია ძევხიშვილი და ნინო საფარაშვილი** მესამე, **მარიამ ოთინაშვილი** II ადგილის მფლობელი გახდნენ.

თბილისში ისიდორე მჭედლიძის 29-ე რესპუბლიკურ ტურნირზე წარმატებით იასპარეზა და ***II საპრიზო ადგილზე*** გავიდა **ანასტასია ძევხიშვილი.** გორში საქართველოს ჩემპიონატში გოგონებში ჩემპიონი გახდა **ნინო ლოლაძე. ლალი ხოსიტაშვილი** კი III საპრიზო ადგილზე გავიდა.

მაისში ბორჯომში „ბორჯომის მერიის თავზე“ III საპრიზო ადგილზე **ია ყუშიტაშვილი** გავიდა.

ივნისში ბოლნისში გამართულ დავით ნავერიანის ხსოვნის VIII საერთაშორისო ტურნირზე ***მესამე საპრიზო ადგილზე*** გავიდნენ **მერი შაქარაშვილი, მარი ირემაშვილი, ნინო და თათა საფარაშვილები.**

ამავე თვის დასასრულს ხელვაჩაურში ნანა კირკიტაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ***ჩემპიონი*** გახდა **ნინო საფარაშვილი, მარიამ ოთანაშვილი** კი ***III საპრიზო*** ადგილზე გავიდა. 11-14 ივლისს თურქეთში, ქ. კოჯაელის მეტროპოლიტენში ოლიმპიური ჩემპიონის ჰუსეინ ოზგანის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ***ბრინჯაოს მედლები*** მოიპოვეს **თამარ სუხიაშვილმა და მარიამ ხოსიტაშვილმა.**

– რა წარმატებები აქვთ „ბრძენთა თამაშის“ სექციების აღსაზრდელებს?

– თებერვლის დასაწყისში გურჯაანში გამართულ კახეთის რეგიონალურ ჩემპიონატზე ***I ადგილი*** დაიკავა და ჩემპიონი გახდა **ზუკა გამრეკელაშვილი** (მწვრთნელი-მასწავლებელი ირ. ქვლივიძე). 25-26 მარტს კი ლაგოდეხში 8 და 10 წლამდელ გოგონათა და ჭაბუკთა დია რეგიონულ ჩემპიონატში ჩემპიონი გახდა **ალექსი ჯინჭარაული.** მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ **ნუკა ლოლაძე და გიორგი უნაფქოშვილი.** ბრინჯაოს პრიზები დაიმსახურეს **დემეტრე ბექიტაშვილმა, ანასტასია ხასიამ და ზაზა თედიაშვილმა.**

ივლისის ბოლოს ამბროლაურში ***საჭადრაკო ფესტივალში*** „რაჭა-2023“, 16 წლამდელ გოგონებსა და ჭაბუკებში **ნინი ესაიაშვილი** გახდა ჩემპიონი. ამავე ფესტივალზე ქალთა შორის I ადგილი, კაცებში კი VII ადგილი დაიკავა **ნანი უნაფქოშვილმა.**

– რას გვეტყვით ირაკლი კუპატაძის და ამირან დარბაისელის ამ ზაფხულის წარმატებებზე?

– ორივე მათგანმა (8 ივლისს) მონაწილეობა მიიღეს ქარელში დურმიშხან და ზვიად ბერუაშვილების სახელობის რესპუბლიკურ ტურნირში ქართულ ჭიდაობაში, სადაც შეძლეს ***მეორე საპრიზო*** ადგილის დაკავება; ამის შემდეგ მათ ასპარეზობა მოუწიათ სიღნაღში ქართულ ჭიდაობაში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირშიც, სადაც **ი. კუპატაძე *II*, ამირან დარბაისელი** კი III საპრიზო ადგილზე გავიდა.

სექტემბრის დამდეგს კი ჩატარდა სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის არჩილ ჩოხელის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, შუა აზიის ქვეყნების მოჭიდავეები (უფროს ასაკში), სადაც **ირაკლი კუპატაძე** II, **სანდრო სონიშვილმა** კი მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

– ამ ბოლო ხანებში ჩვენს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები ტარდება ახალი სპორტული ობიექტების მშენებლობის და მოწყობის კუთხით. მწყობრში ჩადგა ნინოწმინდის და ბადიაურის საჭიდაო დარბაზები, სპორტული დარბაზი ეწყობა გომბორში, მშენებლობის სტადიაშია უდაბნოს სპორტული დარბაზი. ამას გარდა თითქმის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში ეწყობა სპორტული მოედნები და სივრცეები სათანადო სპორტული ინფრასტრუქტურით, რაც კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს ქმნის ჩვენი ჯანმრთელი მომავალი თაობებისა და უფრო მეტი წარმატებული სპორტსმენების აღზრდისათვის...

– გეთანხმებით. რაც შეეხება თქვენგან ნახსენებ უდაბნოსა და გომბორის საჭიდაო დარბაზებს. პირველი მათგანი ჯერჯერობით მშენებლობის სტადიაშია და იმედია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ჩადგება უდაბნოელი მოზარდების სამსახურში. რაც შეეხება გომბორის დარბაზს, იქ უკვე დასრულდა ყველა სამშენებლო სამუშაოები და უკვე შეტანილი გვაქვს საჭიდაო ტატამიც.

– სხვა საჭიდაო დარბაზებში რა მდგომარეობაა, რამდენად არიან ისინი აღჭურვილი იქ სამწვრთნელო-სავარჯიშო მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის?

– ვერ ვიტყვით, რომ იქ ყველაფერი თანამედროვე ევროპული სტანდარტების დონეზე იყოს მოწყობილი, თუმცა ყოველ მათგანში გააჩნიათ ყველა ის საჭირო პირობები, სადაც შეიძლება ვარჯიშების ნორმალურად ჩატარება. რაც მთავარია, ჩვენ იქ გვყავს სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მწვრთნელები და თუ რა შეუძლია მათ მოწადინებისა და მონდომებას, ეს ჩვენმა მოჭიდავეებმა და მკლავჭიდელებმა მერამდინედ დაამტკიცეს.

– კარგით, ჯერჯერობით ამით დაგემშვიდობებით. წლის ბოლომდე ჯერ კიდევ საკმაო ხანია დარჩენილი და იმედია გარეჯელი სპორტის ამ კერაზე, სადაც შესაძლებელია ასეთი წარმატებული სპორტსმენების აღზრდა, კიდევ არაერთი იმედის მომცემი და პერსპექტიული სპორტსმენის გამოჩენით გაგვახარებთ.

ესაუბრა *გივი დაბახიშვილი*

გამოფენა და ახალი სახეები

აქ, ამ სივრცეში ნიჭის ზეიმია

„სულ მალე ივლისის თვიდან საგარეჯოში იგეგმება საგამოფენო სივრცის გახსნა... 50 ნახატით თქვენ გელოდებათ ბედნიერი წამით სავსე განტვირთვის ერთი საათი.და რას გპირდებით? გამოფენა - პირადი ნამუშევრების კოლექციას, თქვენ შეგეძლებათ საკუთარ თავში აღმოაჩინოთ ხატვის ნიჭი და შექმნათ თქვენივე საგამოფენო სივრცე საკუთარ სახლში. მასტერკლასები. შექმნათ ინდივიდუალური საოჯახო გალერია და გააცოცხლოთ დიდი მხატვრების ნახატები. ტექნიკური უზრუნველყოფა (ყველა საჭირო მასალა დაგხვდებათ საგამოფენო სივრცეში ფუნჯები ,საღებავები, სახატავი ტილო). დააგროვეთ ბევრი საინტერესო მოგონება ფინჯან ყავასთან და ჩაისთან ერთად, საკუთარ ნახატებთან“.

***ივნისის** ბოლოს სოციალურ ქსელში დადებულმა ამ მოკლე, კონკრეტულმა მოსაწვევმა საგარეჯოელების გარკვეულ ჯგუფებში დიდი ინტერესი გამოიწვია და აი, 1 ივლისს, საგარეჯოს ცენტრში, სუპერმარკეტ „მაგნიტის“ თავზე, შენობის მეორე სართულზე გაიმართა გამოფენა* Irma,s Art space-*ში. ვიზიტორთა ინტერესი და მოლოდინი მართლაც რომ გამართლდა. დღიდან გახსნისა, ჩვენ აქ გარდა ცნობილი და ერთობ ცნობილი მხატვრის – თამარ იორამაშვილის ნახატების გვერდით ვიხილეთ ისეთი სახეები, რომლებსაც ვიცნობდით, მაგრამ თურმე, კარგად არ გვიცვნია მათი სულიერი სამყარო, მისწრაფებები...*

აი, ისინიც, მართალია, ერთი-ორის მხატვრობის ნიჭის შესახებ ვიცოდი, ბატონი ჯემალ მეზვრიშვილის ნახატები მის ოჯახში ათეული წლების წინ დათვალიერებულიც მქონდა. ისიც ვიცოდი, რომ მისი ვაჟი ალექსანდრე ხატავდა, მაგრამ თუ მეორე ვაჟი – ზაზა ხატავდა, ეს აქ ირმას საგამოფენო სივრცეში ბევრმა პირველად გავიგეთ. გაოცებას ვერ ვმალავდით, ასევე, საგარეჯოს საპატიო მოქალაქის ბ-ნ ვლადიმერ მათიაშვილის ნახატების ნახვისას. მისი მხატვრობით გატაცება პორტრეტების საოცარი, ცოცხალი თვალების ხატვის ნიჭი, ასევე თათია მეზვრიშვილის, ნინო მეზვრიშვილის, ანასტასია სუხიშვილის, ნინო ხუციშვილის, ლევან ოქროპირიძის შემოქმედება პირველად ვიხილეთ. გამოფენის დამთვალიერებელთა განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია საგარეჯოელი რუსუდან ქვლივიძის შემოქმედებამ. მინდა გითხრათ, რომ ეს ცალკე განსახილველი საკითხია...

ამჯერად მხოლოდ ერთს ვიტყვით, ჩვენს გვერდით უნიჭიერესი და საოცრად მოკრძალებული ადამიანები ცხოვრობენ. ისინი არასოდეს საუბრობენ დვთით ბოძებულ ნიჭზე. გასაუბრებისას კიდეც მორცხვობენ – იქნებ უკეთესიც არის ჩემზეო – დარცხვენილები უთქმელად მიგახვედრებენ.

შეგიძლია იამაყო ჩემო პატარა საგარეჯო შენი შვილების ნიჭიერებითა და იმ რწმენითა და იმ იმედით, რომ მათთან ერთად ალბათ უამრავი გვყავს, რომელსაც ნელ-ნელა, დროსთან ერთად ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გადმოვიტანთ მათ სახელებსა და მათ ნამუშევრებს.

მართალია საგარეჯოელთა წინაშე წარდგენა არ სჭირდება საგარეჯოს IV საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგს **ირმა შველიძეს**, *რომელმაც ულამაზესი დღეები გვაჩუქა საგარეჯოელებს ცხელი ზაფხულის თვეებში. ირმა დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია. ძუნწად, მაგრამ მაინც გაგვცა პასუხი კერძო დიალოგში დასმულ შეკითხვებზე.*

– ვცხოვრობ ქ.საგარეჯოში, მყავს მეუღლე ჩემი „უღლის “გამწევი .მართლა ასე ცხოვრობს ის ჩემი ცხოვრებით ,ჩვენი შვილების ცხოვრებით, მყავს სამი შვილი ,ჩემი პრინცესები ხატია და მაგდა და პატარა პრინცი – მათე მთავრიშვილები. სამივე ხატავს .

ჩემი პროფესია ამჟამად არის პედაგოგობა. ვასწავლი ქ.საგარეჯოს №4 საჯარო სკოლაში, ვარ დაწყებითი კლასების პედაგოგი. უკვე 25 წელია პატარებთან ვმუშაობ და ვფიქრობ ამ დიდ შემართებასა და ძალას სწორედ მათთან ურთიერთობა მმატებს, პირველად ხატვა 22 წლის ასაკში დავიწყე და მას შემდეგ ვულკანის ამოფრქვევასავით ისე წამოვიდა რაღაც შინაგანი სურვილი ხატვისა, მგონი ვედარ ვჩერდები.

სასწაული მხატვარი იყო შალვა მამისაშვილი, რომელიც ჩემი უფროსი მეგობარი გახლდათ, ახლა ცოცხალი აღარაა და ნათელი მის სულს. ის რომ არა, მე ალბად ისევ ისე ვიქნებოდი, ვერც კი გავიაზრებდი„ მე და მხატვარი“.მხატვრობის მხოლოდ სიყვარული და ოცნება დარჩებოდა ჩემთან. პირველი ნახატი „მზის ჩასვლა“სწორედ მის მოლბერტზე გავაკეთე და მან მიბიძგა მხატვრობისკენ.

მას შემდეგ გავიდა 25 წელი და უამრავი პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა.

მინდა გამოვყო პირველი პერსონალური გამოფენა „ცისფერ გალერეაში“, რომელიც მხოლოდ ერთი ნახატით გადაწყდა კონკურსის წესით. მათ იფიქრეს, უბრალოდ ის წარვადგინე საკონკურსოდ და სხვა არაფერი, მაგრამ რა მათქმევინებდა, რომ საერთოდ მხოლოდ ხუთამდე ნახატი მქონდა . გავიმარჯვე და დავალება საგამოფენოდ 50 ნახატი იყო და გამოფენამდე 5 დღე. სწორედ ეს ხუთი დღე იყო მეტად მნიშვნელოვანი და ჩემი ნამუშევრების უმეტესი ნაწილი, რომელიც დღემდე მაქვს და საკუთარი შვილებივით ვუფრთხილდები.

შემდეგ იყო ბევრი გამოფენა, ჩემი ნამუშევრები ინახება სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

ჩემი მხატვრად ქცევის სასწაული ისტორიის შემდეგ გადავწყვიტე – სხვასაც მივცე შესაძლებლობა ამოიცნონ თავი როგორც მხატვარი. მათაც ჩემსავით იქნებ აქამდე ფუნჯი ხელშიც არ დაუჭერიათ, მაგრამ მასშიც დიდი ნიჭი იმალება, ან ნამუშევრების გამომზეურების ერიდება, თვლის რომ არც კი ღირს გამოფენა საკუთარი ნახატების .სასწაული გრძნობის თანამონაწილე მინდა გავხდე, ესაა ჩემი დიდი სურვილი.

სწორედ ამიტომ გავხსენი საგამოფენო სივრცე ყველასთვის – პროფესიონალია იგი თუ თვითნასწავლი, აქ, ამ სივრცეში „ნიჭის ზეიმია“ მეც ეს მაბედნიერებს.

გამორჩეული მხატვარი არ მყავს, მომწონდა ყველა და ყველაფერი.

წარმატებები ირმას და მომავალში იმ სიის განახლება-გამდიდრება ახალ-ახალი სახეებით, რომლებიც Irma,s Art space-შია გამოფენილი, მთელი სამი თვის განმავლობაში ათბობდა, ატკბობდა და ანცვიფრებდა დამთვალიერებელს..

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლების პირველი დღე მუნიციპალიტეტის პატარებს დიდხანს ემახსოვრებათ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის **ავთანდილ გულიკაშვილის** მხარდაჭერით, 18 სექტემბერს, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი საგარეჯოს კულტურის სახლს ესტუმრა და ადგილობრივ მაყურებელს სპექტაკლი - ***„ურჩხული და ლამაზმანი“*** წარუდგინა.

დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი; პროექტის ავტორი და მუსიკალური ხელმძღვანელი: ლევან გვაზავა;

„რთველი-2023“

მუნიციპალიტეტის ზვრებში აქტიურ ფაზაშია „რთველი-2023“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონცემებზე დაყრდნობით, რთვლის დაწყებიდან მთლიანობაში მუნიციპალიტეტიდან ყურძნის მიმღებ ქარხნებში 28 სექტემბრის მდგომარეობით ჩაბარებული იყო 13080 ტონა ყურძენი, აქედან „რქაწითელი“ – 2409 ტონა, „საფერავი“ – 7197 ტონა, „კახური მწვანე“ – 642 ტონა.

მუნიციპალიტეტში ყურძენს იბარებენ: ბადფიაურის საქციო საზოგადოების, მანავის ცენტრალური, ნინოწმინდის – „კახეთი-3000“ და საგარეჯოს „საამო“ ღვინის ქარხნები.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე